საექსპერტო კომისიის თავმჯდომარის მიმართვა I და II სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის კონკურსში მონაწილე კონკურსანტებს!

მინდა მოგახსენოთ, რომ როგორც კომისიის წევრისთვის ძალიან კარგი გამოცდილება იყო ამდენ საინტერესო პროექტს შორის გამარჯვებულის გამოვლენა. ასევე, ძალიან რთული იყო გადაწყვეტილების მიღება იმ სამ პროექტს შორის რომლებმაც დაფინანსება მოიპოვეს, რადგან საკმაოდ კონკურენტუნარიან გარემოში გვიწევდა არჩევანის გაკეთება.

ამ სცენარების წაკითხვის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი რაც გამოიკვეთა, არის ის, რომ აშკარაა ქართულ კინოსივრცეში საგრძნობლად მზარდი პოტენციალი, რაზეც მეტყველებს შემოქმედებითი აზროვნების ფართო დიაპაზონი და ძალიან საინტერესო და ემოციური სცენარების სიმრავლე.

საექსპერტო კომისიის მდგომარეობას ამძიმებდა ის ფაქტი, რომ არჩევანის გაკეთება გვიწევდა აპრიორი, რამდენიმე კარგი პროექტის საწინააღმდეგოდ. რადგან დასაფინანსებელ რაოდენობაზე მინიმუმ ორჯერ მეტი პროექტი იყო რომელსაც ჰქონდა მაღალი კონკურენციის უნარი და საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

გვჯერა, რომ წარმოდგენილ პროექტებს შორის არაერთია ისეთი, რომელიც აუცილებლად მოიპოვებს დაფინანსებას შემდგომ კონკურსებში და ქართული კინოფილმების ჩამონათვალს მათი სახით დაემატება ღირსეული ნამუშევრები.

მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვიწევდა არა მხოლოდ სცენარის შეფასება, არამედ სრული პროექტის, რადგან კარგი სცენარი არ ნიშნავს სრულყოფილ პროექტს. ყურადღება ექცეოდა საპროდუსერო ნაწილში მათ მზადყოფნას და კონკურსამდე არაერთ ასპექტში მათ მიერ გაწეულ შრომას.

ამ მრავალი კომპონენტის ერთობლიობა განაპირობებდა საბოლოო შედეგს. საექსპერტო კომისიის ყველა წევრი ძალიან სკურპულოზურად განიხილავდა ამ საკითხებს და ამ გზით მივედით საბოლოო კონსესუსამდე.

საბოლოო ჯამში ჟიურის ყველა წევრი იყო ერთსულოვანი. მოხარულები ვართ, რომ გზა მივეცით ეკრანებისკენ მართლაც ძალიან იმედისმომცემ პროექტებს და რომლებიც, გვჯერა, რომ აუცილებლად დაიმკვიდრებენ თავის ადგილს ქართულ კინოში.

ასევე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე პროექტს რომელმაც ვერ მოიპოვა დაფინანსება, მაგრამ მათში ვხედავთ დიდ პოტენციალს, მივცეთ შესაძლებლობა არ შეაჩერონ მუშაობა და მათ სურვილის შემთხვევაში გავუწიოთ რეკომენდაცია ქართველ და უცხოელ პროდიუსერებთან და ასევე შევუწყოთ ხელი მის განვითარებაში ეროვნულ კინოცენტრთან ერთად.

უდავოა ის ფაქტი, რომ ნიჭიერი და ყურადღება მისაქცევი ავტორების ხედვის, საკმაოდ მზარდი პოტენციალის კონცენტრაცია შეინიშნება. რაც გვაძლევს დიდი ოპტიმიზმის საფუძველს.

დიდი პატივი იყო წარმოდგენილ პროექტებს შორის საუკთესოს გამოვლენა, ხოლო ყველა დანარჩენს ვუსურვებთ წარმატებას ახლო მომავალში.

საექსპერტო კომისიის თავჯდომარე,
არჩილ ქავთარაძე